თვითღირებულების საფუძველზე ფასის რეგლამენტირებული დადგენა



სარჩევი

ზოგადი აღწერა 2

ზოგადი აღწერა

აღნიშნული დამუშავებით პროგრამა ბალანსში შესაძლებელია პროდუქციაზე ფასის დადგენა ავტომატურად თვითღირებულებას + 18 % ოდენობით.

ამისათვის:

- ბაზაში უნდა დაემატოს ფასის ტიპი, რომელიც ალმით იქნება გამოყოფილი სხვა ფასის ტიპებისგან.
- აეწყოს რეგლამენტური დავალების ინტენსივობა:



აღნიშნული ინფორმაციის შეყვანის შემდგომ, დამუშავების გაშვებისას პროგრამა შეამოწმებს ყველა ნომენკლატურას, რომელსაც ბაზაში უფიქსირდება თვითღირებულება და დაადგენს წინასწარ განსაზღვრულ ფასის ტიპს.
ყოველი შემდგომი გაშვებისას პროგრამა ასევე შეამოწმებს უკვე დადგენილ ფასს და თუ შეიცვალა თვითღირებულება, ამ შემთხვევაში განახლებული თანხით დაადგენს ფასს.

აღნიშნული დამუშავება მომხმარებელს ეხმარება, შეუზღუდოს პროგრამის იუზერებს თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდვის შესაძლებლობა.

ამისათვის მომხმარებლის წვდომის პროფილებში (ადმინისტრირება >>> მომხმარებლის პარამეტრები და უფლებები >>> წვდომის პროფილები) მინიმალურ ფასად უნდა მიეთითოს ის ფასის ტიპი, რომელსაც დამუშავება ავტომატურად დაადგენს პროდუქციაზე.

გაყიდვები (წვდომის ჯგუფების პროფილი) *
ძირითადი
წვდომის ჯგუფები
ჩაწერა და დახურვა
ჩაწერა
დასახელება:
გაყიდვები
ჯგუფი (საქალაღდე):
დოკუმენტები
ანგარიშგებები / დამუშავებები
ინდივიდუალური ანგარიშგებები
ცნობარები
სხვა უფლებები
წვდომის შეზღუდვა
გაყიდვის წესები
კომენტარი
ფასდაკლების მაქსიმალური პროცენტის შეზღუდვა
ფასდაკლების მაქსიმალური პროცენტი:
0.00
%
დასაშვები ფასის ტიპი
გაყიდვის მინიმალურად დასაშვები ფასების ტიპი:
გაყიდვის მაქსიმალურად დასაშვები ფასების ტიპი: